პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 229
(5779)

20
1976 წ.
ნოემბერი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

18 ნოემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი. პლენუმმა განიხილა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმის მონაწილეებმა მოისმინეს ინფორმაციები: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ე. მ. ჯაფარიძისა — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ; საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის ამხ. ფ. ა. ანანიაშვილისა—საქართველოს სსრ 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. მ. ხინთბა, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" მექანიკოსი ზეინკალი ამხ. ვ. მ. გონჩაროვი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ფ. ს. სანაკოევი, საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ბ. დ. მახარაშვილი, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი ამხ. რ. ჰ. კონცელიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ი. გ. გვერდწითელი, საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ბ. ს. ჯიქია, საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. თ. ი. მოსაშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. ნ. ა. ჭითანავა, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. დ. რუხაძე, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ამხ. ე. ს. ცირამუა, საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. შ. დ. ცაგარეიშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ვ. გ. ბაქრაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მედიცინის პრობლემების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ამხ. ვ. მ. ოკუჯავა, ბოლნისის რაიონის ფახრალოს საბჭოთა მეურნეობის მეთამბაქოე ამხ. ტ. მ. ტანრივერდიევა, საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ა. ვ. ბურჯანაძე, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. ა. უტიაშვილი, საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ი. ბ. ბამრეკელი.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის მოვალეობისგან გაათავისუფლა ამხ. ი. ი. ქედიშვილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგედ დამტკიცებულია ამხ. გ. ა. ანდრონიკაშვილი.

სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის მოვალეობისგან გაათავისუფლა ნ. ბ. ჩერქეზიშვილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგედ დამტკიცებულია ამხ. ა. დ. ალექსიძე.

სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო პლენუმმა გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორის მოვალეობისგან გაათავისუფლა ამხ ო. დ. ქინქლაძე.

ამხ. ნ. ბ. ჩერქეზიშვილი დამტკიცებულია გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორად. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

19 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ი. ბ. აბაშიძე, თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები ზ. ო. ვასაძე, თ. შ. ქაბულოვა, ო. ნ. კარბა,

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ჟ. კ. შარტავა, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა ი. ბ. აბაშიძემ.

მოხსენებისთვის „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ" სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, დეპუტატ ზ. ა. პატარიძეს.

სესია მუშაობას განაგრძობს.
(საქინფორმი).

ორი ქვეყნის სპორტული თანამშრომლობა

18 ნოემბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის სპორტული თანამშრომლობის შესახებ 1977-1980 წლებისთვის.

შეთანხმებით გათვალისწინებულია სპორტსმენთა, მწვრთნელთა და სპეციალისტთა დელეგაციების გაცვლა-გამოცვლა, ერთობლივი შეკრებების მოწყობა, გამოცდილების ურთიერთგაზიარება. შეთანხმებაში აღინიშნა, რომ ორივე მხარე ხელს შეუწყობს 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის პროპაგანდასა და ორგანიზაციას. (საკდესი).

სოკ-ის პრეზიდენტი მოსკოვში

17 ნოემბერს მოსკოვში 1980 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მოწვევით ჩამოვიდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ლორდი მაიკლ კილანინი. იგი შეხვდება საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებს, სპორტულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, გაეცნობა მოსკოვის მზადებას თამაშების ჩასატარებლად. სოკ-ის პრეზიდენტი დაათვალიერებს სპორტულ ბაზებს, ეწვევა ახალ მშენებლობებს.

შერემეტიევოს აეროპორტში კილანინს შეხვდნენ სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები, ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები.

* * *

18 ნოემბერს მოეწყო „ოლიმპიადა — 80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ი. ნოვიკოვისა და სოკ-ის პრეზიდენტის საუბარი.
(საკდესი).

ნიგერიაში საასპარეზოდ

სსრ კავშირის ჩოგბურთელები წლევანდელ საერთაშორისო სეზონს ნიგერიის კორტებზე ასპარეზობით დაამთავრებენ. უძლიერესი საბჭოთა სპორტსმენები გამოვლენ დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ქალაქ ბენინში 21 ნოემბერს იწყება.

სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონთან, თბილისელ ა. მეტრეველთან ერთად ამ შეჯიბრებაში ითამაშებენ სსრ კავშირის მეორე ჩოგბურთელი, ასევე თბილისელი თ. კაკულია, ბაქოელი რ. ახმეროვი და მოსკოველი ე. გრანატუროვა.

საბჭოთა ჩოგბურთელები არაერთხელ გამოსულან ნიგერიაში. ე. გრანატუროვამ 1974 წელს ამ ქვეყნის ღია ჩემპიონატში გაიმარჯვა.

საქართველოს სპორტკომიტეტში

მიმდინარე წლის 12-18 ნოემბერს ქ. ქუთაისში სპორტული კინოს ფესტივალის ორგანიზებულად ჩატარებისთვის საქართველოს სპორტკომიტეტის სიგელებით დაჯილდოვდა ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი და ქუთაისის კინოთეატრი „უდარნიკი".

რეკორდი

ორჯონიკიძე, 18 ნოემბერი. ახალ წონით კატეგორიაში, მეორე ქვემძიმე წონაში (100 კილოგრამამდე) სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა ნოვოკუიბიშევსკელმა ძალოსანმა ა. კონონოვმა. მან 220 კგ აჰკრა. რეკორდი დამყარდა რსფსრ-ს ჩემპიონატში, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს.

ზამთარი ჯერ კიდევ არ დამდგარა, მაგრამ მფრინავმა მოთხილამურეებმა — ტრამპლინიდან მხტომელებმა, ახალი სეზონი გახსნეს. ლენინგრადის მახლობლად, კავგოლოვოში, ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენების მონაწილეობით ჩატარდა რსფსრ-ს ღია პირველობა, ხოლო ესტონეთში გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატი. უძლიერესნი იყვნენ არმიელები: ფრენის სიშორეში ქვეყნის რეკორდსმენმა ი. კალინინმა რსფსრ-ს ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო ინსბრუკის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ა. კარაპუზოვმა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება დაიმსახურა. ეს შეჯიბრებები ჩატარდა ხელოვნურ საფარიან ტრამპლინებზე.

სურათებზე: ქვეყნის რეკორდსმენი, რსფსრ-ს ჩემპიონი ი. კალინინი ხტომის დროს; სტარტს იღებს სსრ კავშირის ჩემპიონი ა. კარაპუზოვი.

ვ. ბალაკტიონოვის ფოტოები.

ტელეტაიპის ლენტიდან

● ნაკრების ტურნე. 21 ნოემბერს სსრ კავშირის კლუბების ფეხბურთელთა ნაკრები სამხრეთ ამერიკას მიემგზავრება, სადაც რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს. კერძოდ, 28 ნოემბერს იგი არგენტინის ნაკრებს შეხვდება, ხოლო 1 დეკემბერს — ბრაზილიის ეროვნულ გუნდს. ეს საკდესის კორესპონდენტებს აცნობა საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ. ამას გარდა, განზრახულია მატჩების გამართვა არგენტინისა და ბრაზილიის კლუბებთან 25 ნოემბერსა და 5 დეკემბერს. საბჭოთა გუნდში 17 ფეხბურთელია: ნ. გონტარი („დინამო", მოსკოვი), ვ. რადაევი (ცსკა), ვ. კრუგლოვი („ტორპედო", მოსკოვი), ა. პაროვი („დინამო", მოსკოვი), ფ. ჩორბა („კარპატი"), ს. ოლშანსკი და ვ. შვეცოვი (ორივე — ცსკა), შ. ხინჩაგაშვილი („დინამო", თბილისი), ა. ბერეჟნოი („დინამო", კიევი), ვ. სუჩილინი („ტორპედო", მოსკოვი), ო. დოლმატოვი („დინამო", მოსკოვი), მ. მაჩაიძე („დინამო", თბილისი), ა. ტარხანოვი (ცსკა), პ. სლობოდიანი („დინამო", კიევი), ი. ჩესნოკოვი (ცსკა), ნ. პეტროსიანი („არარატი"), ვ. კაზაჩონოკი („დინამო", მოსკოვი).

● მოსკოველები ფინალში გავიდნენ. ცსკა-ს კალათბურთელებმა ვადამდე მოიპოვეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური ტურნირის საგზური, მას შემდეგ, რაც ჯგუფში მათი მთავარი მეტოქე „ალვიკი" (სტოკჰოლმი) კრაკოვში დამარცხდა ადგილობრივ „ვისლასთან" — 95:96 (51:48). მოსკოვის არმიელებმა ხუთივე შეხვედრა მოიგეს, შვედებმა — მხოლოდ სამი. ამგვარად, მათი მატჩი 25 ნოემბერს შვეციის დედაქალაქში უკვე ვეღარაფერს შეცვლის. კრაკოვში შეხვედრა უმძაფრეს ბრძოლაში ჩატარდა. პოლონელი კალათბურთელები, რომელთაც ტურნირში ჯერ მატჩი არ მოუგიათ, თავგანწირვით თამაშობდნენ.

● ტანვარჯიშული ფესტივალის გაგრძელება. გაზეთ „ტიუნიტის" თასზე დიდი საერთაშორისო შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ტანმოვარჯიშეთა უმეტესობამ საკაისა და ნიიგატაში გამართულ საჩვენებელ გამოსვლებში მიიღო მონაწილეობა. ნიიგატის „ტანვარჯიშული ფესტივალის" შესახებ დაბეჭდილ წერილებში ტოკიოს პრესა ქებას ასხამს ოლიმპიურ ჩემპიონ ნელი კიმის უზადო ოსტატობას. „საბჭოთა სპორტსმენმა ბრწყინვალედ შეასრულა ურთულესი ელემენტები დვირზე და თავისუფალ ვარჯიშში, — წერს „ტოკიო სიმბუნი", — რითაც ხალხით გაჭედილი ტრიბუნების აღფრთოვანება გამოიწვია". გაზეთი „ასახი" აღნიშნავს, რომ მაყურებლები მოხიბლა გამოჩენილი ტანმოვარჯიშეების — კიმის, სავაო კატოს, მიცუო ცუკაჰარას, უნგრელი ზოლტან მადიარისა და სხვათა ოსტატობამ. ამავე დროს, იგი განსაკუთრებით გამოყოფს საბჭოთა სპორტსმენს ელენა დავიდოვას. „ამ პატარა გოგონამ, სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა, თავისუფლად, ძალდაუტანებლად შეასრულა ურთულესი ელემენტები და კიდევ ერთხელ გაგვახსენა, რომ ტანვარჯიშში დღეს სულ ახალგაზრდა ოსტატები პირველობენ", — წერს გაზეთი.

ხვალ ფინალია

შოთა შავგულიძის სახელობის პრიზზე

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე დამთავრდა შ. შავგულიძის სახელობის ტრადიციული ტურნირის მატჩები ქვეჯგუფებში.

I ქვეჯგუფში წარმატება წილად ხვდა ბათუმის „დინამოს", ხოლო II ქვეჯგუფში გაიმარჯვეს გორელმა ფეხბურთელებმა.

ვეტერანის პრიზის ფინალური მატჩი გაიმართება ხვალ, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე. ერთმანეთს ხვდებიან „დინამო" (ბათუმი) — „დილა" (გორი). დასაწყისი 14 საათზე.

კრიზისი. როგორ დავაღწიოთ მას თავი?

● შეჯიბრებას თავი აარიდეს... ● ნაკრებისთვის კანდიდატების შერჩევა შეუძლებელი აღმოჩნდა ● მუშაობა — ძველებურად, თვითდინებით ● რომის ოლიმპიური ჩემპიონის, რობერტ შავლაყაძის აზრით ● მხოლოდ ღონისძიებათა კომპლექსი

დიდი ხანია, რაც საქართველოს სპორტულ ცხოვრებაში მძლეოსნობამ ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი დაიმკვიდრა. საბჭოთა კავშირის ხალხთა წინა სპარტაკიადებში ჩვენი მძლეოსნების მიერ ნაჩვენებმა დაბალმა შედეგებმა ხელი შეუწყო იმ მოწინავე და სასახელო პოზიციების დათმობას, რომლებიც რესპუბლიკას ათეული წლების მანძილზე ღირსეულად ეკავა.

თუ მოსწავლეთა ბოლო საკავშირო სპარტაკიადებში ჩვენი წარმომადგენლების შედეგებს გადავხედავთ (ალმა-ათა, 1974 წ. — XII ადგილი, ლვოვი, 1976 წ. — XI ადგილი), დავრწმუნდებით რომ **საქართველოს უფროსთა გუნდების ხანგრძლივი კრიზისის მთავარი მიზეზი იყო და არის მოზარდ მძლეოსნებთან მუშაობის დაბალი დონე. ეს კიდევ ერთხელ ცხადყო, ახლახან, არდადეგების დღეებში თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე ჩატარებულმა მოსწავლეთა რესპუბლიკურმა პირად-გუნდურმა პირველობამ.**

ასპარეზობაში მონაწილეობა რესპუბლიკის 59 ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებათა გუნდებს უნდა მიეღოთ. მაგრამ შეჯიბრებას უმიზეზოდ აარიდეს თავი საგარეჯოს, თელავის, ტყიბულის, აბაშის, ამბროლაურის, ასპინძის, ლენტეხის, მესტიის, მცხეთის, საჩხერის, ყვარლის, ხობისა და გორის რაიონების წარმომადგენლებმა.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ჯგუფში გაიმარჯვა თბილისის კოლექტივმა, II ადგილი აფხაზეთის ნაკრებმა დაიკავა, III — აჭარის გუნდმა.

მეორე ჯგუფში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I — ქარელი, II — რუსთავი, III — ფოთი.

მესამე ჯგუფში I ადგილი ხვდათ წალკის, II — ქ. გორის, ხოლო III — ზესტაფონის წარმომადგენლებს.

პირადი პირველობისთვის 1960-61 (უკონკურსოდ) და 1962-64 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა სარეკორდო რაოდენობა — 500 სპორტსმენი იბრძოდა. მონაწილეთა 70 პროცენტი მხოლოდ სპრინტერულ რბენასა და სიგრძეზე ხტომაში ცდიდა ძალას.

გოგონებს შორის II თანრიგის ნორმატივი მხოლოდ ოთხმა მონაწილემ შეასრულა, ჭაბუკთა შორის კი — ერთმა.

შეჯიბრება მიზნად ისახავდა კანდიდატების შერჩევას საქართველოს ნაკრები გუნდისთვის, რომელიც მოსწავლეთა მომავალ საკავშირო სპარტაკიადაში მიიღებს მონაწილეობას. ასპარეზობის დამთავრების შემდეგ რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს **რ. ოდიშარიას** ვთხოვეთ აზრი გამოეთქვა შეჯიბრების შედეგებზე.

— ასე წარუმატებლად ჩვენი მოსწავლეები არასოდეს გამოსულან. მთელ რიგ სახეობებში შედეგები იმდენად დაბალი იყო, რომ გოგონათა ნაკრები გუნდისთვის კანდიდატები ვერ შევარჩიეთ 200 და 800 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე ხტომაში, ბირთვის კვრაში, შუბისა და ბადროს ტყორცნაში. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო ჭაბუკთა შეჯიბრებაში. აქ ნაკრებისთვის ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოვძებნეთ 400, 800, 1 500 და 3 000 მეტრზე რბენაში, 110 და 400 მეტრზე თარჯრბენში, 2 000 მეტრზე დაბრკოლებების გადალახვაში, სიმაღლეზე, სიგრძეზე, ჭოკით და სამმაგ ხტომაში, ბადროს და შუბის ტყორცნაში, ბირთვის კვრასა და რვაჭიდში.

ყოველივე ზემოთქმული მოწმობს, რომ საქართველოს განათლების სამინისტროს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლები თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმსა და ცხინვალში, რესპუბლიკის რაიონებში არსებული მძლეოსნობის ჯგუფები კვლავ ძველებურად, თვითდინებით მუშაობენ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მძლეოსნობაში მომუშავე მწვრთნელთა უმრავლესობა გულგრილად ეკიდება საქმეს. ბევრი მათგანისთვის დღემდე უცხოა სახელოვანი ლენინგრადელი მწვრთნელის ვ. ალექსეევის მაგალითი. იგი მთელ თავისუფალ დროს, სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი, ქალაქგარეთ ატარებდა, სადაც ვარჯიშობდა, სწავლობდა, ხვეწდა რბენის, ხტომისა და ტყორცნის ტექნიკას და შემდეგ მოწაფეებს პრაქტიკულად გადასცემდა თავის ცოდნას. 47 მსოფლიო რეკორდი, 14 ოლიმპიური მედალი (აქედან 8 ოქროსი), ევროპის ჩემპიონატების 23 მედალი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის 79 ოქროს მედალი — ასეთია ალექსეევის მოწაფეთა წარმატებები.

იმის შესახებ, თუ რა იწვევს ჩვენში მძლეოსნობის ასეთ ჩამორჩენას, რა ღონისძიებები უნდა დაისახოს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, გვესაუბრა რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. შავლაყაძე.

— ჩემი აზრით, ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ მძლეოსნობის ჯგუფებთან მომეცადინე მწვრთნელებს დღემდე მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა. არა გვაქვს თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით აღჭურვილი საწვრთნელი ბაზები, გვაკლია კვალიფიციური მწვრთნელები, სპორტინვენტარი, საქმის წინსვლას ხელს უშლის საქმისადმი ზოგიერთი მწვრთნელის, ხელმძღვანელი მუშაკის გულგრილი დამოკიდებულება. უნდა ითქვას ისიც, რომ დაბალია განათლების სისტემის მძლეოსნური ჯგუფების მუშაობის ხარისხი, განსაკუთრებით გოგონებს შორის.

ზემოაღნიშნული და სხვა ნაკლოვანებების გამოსწორება, თუ ჩვენს შესაძლებლობებს გადავხედავთ, რეალურია. აუცილებლად მიმაჩნია, რომ მძლეოსნური სპორტის სახეობები სპორტსკოლებზე სპეციალისტებისა და სპორტული ბაზების გათვალისწინებით განაწილდეს. სპარტაკიადების მონაწილე გუნდები ასაკობრივ მოთხოვნათა დაცვით უნდა ჩამოვაყალიბოთ და შემდეგ მათთან გაძლიერებით ვიმუშაოთ. უნდა შეირჩეს მუდმივი ადგილი ნაკრები გუნდების კანდიდატებისთვის საზაფხულო გამაჯანსაღებელი სპორტული ბანაკის მოსაწყობად. უკეთეს შედეგს მოგვცემს გოგონებთან და ჭაბუკებთან ცალ-ცალკე მუშაობა, ვინაიდან მათი წვრთნის დოზირება და მოთხოვნები სრულიად სხვადასხვაა. უნდა ჩამოყალიბდეს მომდევნო ორ უახლოეს სპარტაკიადაში მონაწილე გუნდები და მათთან აქედანვე გაძლიერებული მუშაობა ვაწარმოოთ.

დღევანდელი გაზრდილი მოთხოვნების შესასრულებლად აუცილებელია მძლეოსნობის რესპუბლიკური სპორტსკოლა-ინტერნატის გახსნა. წელიწადში ორჯერ სახეობათა მიხედვით უნდა ეწყობოდეს მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. საჭიროა რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში მძლეოსნური სპეციალური კლასები გაიხსნას. ეს აამაღლებს მწვრთნელთა მუშაობის ხარისხს.

ვფიქრობთ, რ. შავლაყაძის მოსაზრებები მართებულია, მისი წინადადებები ძირითადად რეალურია და რაც შეიძლება მალე უნდა განხორციელდეს.

ი. იუნაევი.

* * *

სურათებზე: ტურნირში გამარჯვებულები. ზევით — ზემოალვანელი (ახმეტის რაიონი) ლ. კიკილაშვილი, რომელმაც იმარჯვა 400 და 800 მეტრზე რბენაში. ქვევით — არხილოსკალოელი (წითელი წყაროს რაიონი) ო. წიკლაური (ორივე — გლდანის № 1 სპორტსკოლა ინტერნატში სწავლობს). მან ყველას აჯობა 110 მეტრზე თარჯრბენში.

ავტორის ფოტოები.

შვიდი რესპუბლიკის სპორტსმენთა შორის

11-13 ნოემბერს მინსკში ჩატარდა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური ახალგაზრდული პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. სარბიელზე გამოვიდა შვიდი რესპუბლიკის 150 წარმომადგენელი.

ამ ასპარეზობისთვის საქართველოს ნაკრები მოამზადეს სპორტის ოსტატებმა მ. ბიბილაშვილმა და ნ. სხირელმა. ჩვენმა წარგზავნილებმა გუნდური III ადგილი დაიკავეს ბელორუსიისა და რუსეთის ფედერაციის ძლიერი გუნდების შემდეგ.

ჩვენი რესპუბლიკის სამმა მოჭიდავემ პირველი ადგილები დაიკავა, მიიღო ოქროს მედლები, საჩუქრები და ცენტრალური საბჭოს I ხარისხის დიპლომები. ესენი არიან: ზ. შუკაკიძე (48 კგ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის სტუდენტი. მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. როსტიაშვილი), ვ. ცქვიტიშვილი (58 კგ. თბილისის 115-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე. მწვრთნელი სპორტის ოსტატი თ. გასვიანი), ზ. ავლოხაშვილი (მძიმე წონა. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი. მწვრთნელები გ. როსტიაშვილი და გ. ბასიაშვილი).

განსაკუთრებით აღსანიშნავია 16 წლის ვიქტორ ცქვიტიშვილის წარმატება. მიუხედავად იმისა, რომ იგი შეჯიბრების ყველაზე ნორჩი მონაწილე იყო, ტოლი არ დაუდო უფრო გამოცდილებს და დამსახურებულად გაიმარჯვა (საასპარეზოდ 1957-59 წლებში დაბადებულნი დაიშვებოდნენ).

III საპრიზო ადგილი და ბრინჯაოს მედალი ხვდა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს მ. იჩქიტიძეს. ტრავმას რომ არ შეეშალა ხელი, იგი უთუოდ უფრო მაღალ შედეგს აჩვენებდა.

გუნდის წარმატებაში დამსახურება მიუძღვით ვ. მოდოსიანს, ნ. ბოჭორიშვილს, ვ. გონაშვილს, თ. გიორგაძეს, ვ. დრიაევს, ლ. მაისურაძეს.

ასპარეზობის საუკეთესო მსაჯად აღიარეს საკავშირო კატეგორიის არბიტრი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელი თ. გასვიანი, რომელსაც გადაეცა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს სიგელი.

ნ. დოლიძე,
„ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი.

ფიზკულტურულ კოლექტივებში

კირადი მაგალითი

გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატში, რომელიც ერთ-ერთ მოწინავე საწარმოდ ითვლება საქართველოში, 6 ათასამდე კაცი მუშაობს. აქ ერთმანეთის მხარდამხარ შრომობენ ჩვენი ქვეყნის მრავალი ერის წარმომადგენლები.

ამ წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვით უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, 1-ლი სართავი ფაბრიკის მრთველს თამარ დალელაშვილს, რომელმაც ხუთწლიანი გეგმის შესრულება სამ წელიწადში ივალდებულა, № 2 საქსოვი ფაბრიკის ქვეოსტატს გიორგი ოსიშვილს, მქსოველ მარინე ალბუთაშვილსა და სხვებს. აღსანიშნავია, რომ მოწინავე მუშა-მოსამსახურენი შრომას წარმატებით უთავსებენ ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობას. ისინი 13 სპორტულ სექციაში არიან გაერთიანებული. კომბინატში შექმნილია სპორტკლუბი „დილა", რომელსაც ნოდარ დვალი თავკაცობს.

... ამ ზაფხულში კომბინატის ფიზკულტურულმა საბჭომ ატენის ხეობაში მოაწყო მასობრივი ტურისტული შეკრება, რომლის პროგრამაში შედიოდა ტურისტული ესტაფეტა, დაბრკოლებათა გადალახვა, კარვის გაშლა და კოცონის დანთება. შეჯიბრების მონაწილე 131 კაციდან 80-მა მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა. საერთოდ, ნორმატივების ჩაბარებაში კომბინატის 1200 თანამშრომელია ჩაბმული. ამ მხრივ მუშა-მოსამსახურეებს მაგალითს თვით ხელმძღვანელები აძლევენ: № 1 სართავი ფაბრიკის მმართველი შალვა ხმალაძე, № 2 საქსოვი ფაბრიკის მმართველი ნიკოლოზ იორამაშვილი, გამომყვანი ფაბრიკის მმართველის მოადგილე არსენ რიყამაძე, კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანი ბეჟან გაგნიძე, კომკავშირის კომიტეტის მდივანი მალხაზ გოჩაშვილი...

წლეულს კომბინატის ფიზკულტურულმა კოლექტივმა ორი სპორტის ოსტატის ნაცვლად მოამზადა 11, გეგმით გათვალისწინებული სამი ოსტატობის კანდიდატის ნაცვლად — 7, ათი პირველთანრიგოსნის მაგიერ — 12...

კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა შორის პოპულარობით სარგებლობს შიდასაკომბინატო სპარტაკიადები. მიმდინარე წლის იანვარში აქ ჩატარდა ზამთრის სპარტაკიადა, ხოლო გაზაფხულზე — საგაზაფხულო, რომელიც სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებს მიეძღვნა.

... კომბინატის ფიზკულტურელების განკარგულებაშია ფეხბურთის მინდორი სარბენი ბილიკებითა და მძლეოსნური სექტორებით, კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები, საჭიდაო ოთახი. მაგრამ კომბინატის ფიზკულტურელთა წარმატებები უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, საკუთარი დარბაზიც რომ ჰქონდეთ. კომბინატისთვის ორი წელია, რაც შენდება კულტურის სასახლე, სადაც სპორტული დარბაზიც არის გათვალისწინებული, მაგრამ მის დამთავრებას არ დაადგა საშველი. არც სასროლი ტირია კომბინატში, უფრო სწორად, იყო და დაანგრიეს, დირექციამ მის ადგილზე ბამბის საწყობები ააშენა. მართალია, ფიზკულტურელებს დაპირდნენ ახლის აშენებას (ფიზკულტურულმა საბჭომ ადგილიც კი შეარჩია), მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა.

თ. ქიქავა.
(ჩვენი სპეც. კორ).

გორი.

გაკეთდება!

გორის რაიონის სოფელ მარნიდან ახალგაზრდების წერილი მივიღეთ ფეხბურთის მინდვრის გაუქმებაზე.

ვესტუმრეთ სოფელ მარანს და ვინახულეთ სოფელ ტყვიავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. ჩიხლაძე. მან გვაჩვენა ადგილი, სადაც უკვე აწყობენ სამაგიერო ფეხბურთის მინდორს. თავმჯდომარემ პირობა დადო, რომ მინდორი უახლოეს ხანში იქნება მზად.

კითხვა: ვარ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი. ვმუშაობ სოფლის ფიზკულტურული კოლექტივის მეთოდისტად. გთხოვთ განმიმარტოთ, რამდენად სწორია, რომ გასამრჯელოდ თვეში 70 მანეთს ვღებულობ?

ზ. სინატაშვილი.
სოფ. რიონი,
წყალტუბოს რაიონი.

პასუხი: სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს 1964 წლის 17 სექტემბრის დადგენილება „ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა ხელფასის ამაღლებისა და მოწესრიგების შესახებ" (ოქმი № 4, VII პუნქტი), თუ თქვენი მუშაობის სტაჟი 5 წელზე ნაკლებია, უფლებას განიჭებთ ყოველთვიურად მიიღოთ 96 მანეთი. ვისაც სტაჟი 5-დან 10 წლამდე აქვს, მისი ხელფასი შეადგენს 105 მანეთს, 10 წელს ზევით კი — 115 მანეთს.

კითხვა: აქვს თუ არა უფლება ფიზკულტურის მასწავლებელს ჰქონდეს 26-საათიანი დატვირთვა და უხელმძღვანელოს კლასგარეშე მუშაობას, თუ სკოლაში არის ამის საშუალება?

გ. გრიგალაშვილი,
ბორჯომის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებელი.

პასუხი: მოქმედი კანონმდებლობით, ერთსა და იმავე სკოლაში მასწავლებლის დატვირთვის ზღვარი დადგენილი არ არის. მაგრამ სწავლების ხარისხის შენარჩუნების მიზნით სასწავლო დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს განაკვეთ-ნახევარს. თუ სკოლას მხოლოდ ერთი სპეციალისტი ჰყავს და საათია რაოდენობა განაკვეთ-ნახევარს აღემატება, დატვირთვის გაზრდა დასაშვებია. ეს პრინციპი კლასგარეშე მუშაობაზეც ვრცელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საფეხბურთო სეზონის შედეგებს აჯამებს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი

კონსტანტინე ბესკოვი

მომავალ გაზაფხულამდე

მაშ ასე, დავემშვიდობეთ 1976 წლის საფეხბურთო სეზონს, სეზონს უჩვეულოს, წინააღმდეგობებით აღსავსეს, რომელსაც ერთი ნიშნით ვერ შეაფასებ.

აი, რატომ გადავწყვიტე უარი მეთქვა მიმავალი საფეხბურთო წლის მთავარ მოვლენათა დაწვრილებით გარჩევაზე და მხოლოდ ის შენიშვნები გამომეთქვა, რაც ყველაზე არსებითად მიმაჩნია სადღეისოდ.

ამთავითვე ვიტყვი: მე ძალზე მომწონს ახალი, საშემოდგომო ასპარეზობის ჩემპიონი — მოსკოვის „ტორპედო", აზრიანი, თანამედროვე თამაშითა და სპორტული აზარტით გამორჩეული გუნდი. სულითა და გულით ვულოცავ გამარჯვებას მთელ კოლექტივს, განსაკუთრებით კი ვალენტინ ივანოვს, რომელმაც იური ზოლოტოვთან და ვიქტორ შუსტიკოვთან ერთად შეძლო გამარჯვებამდე მიეყვანა ტორპედოელები. რასაკვირველია, მათს თამაშს იდეალური ჯერ კიდევ არ ეთქმის. „ტორპედო" ბევრში ჯერ კიდევ ვერ გაუტოლდება 1975 წლის კიევის „დინამოს", რომელიც ევროპის უძლიერეს გუნდთა რაზმში შევიდა. მაგრამ, კუთვნილს მივაგებ რა ახალ ჩემპიონს, მინდა პირველ ყოვლისა აღვნიშნო ფეხბურთელთა ერთგულება კლუბის ტრადიციებისადმი, მისწრაფება თავისი, „ტორპედოს" სკოლის მოთამაშეთა აღზრდისკენ.

მე რომ მკითხოთ, აი, სწორედ ეს თვისებაა ყველაზე მნიშვნელოვანი. ჩვენ უკვე დიდი ხანია შეუბრალებლად ვაკრიტიკებთ მწვრთნელებს, რომლებიც ახალგაზრდებთან გონივრული, შემოქმედებითი მუშაობის ნაცვლად მიწვეული ტალანტების იმედით ცდილობენ ფონს გასვლას. ვაკრიტიკებთ, რადგან ამას არც გუნდებისთვის მოაქვს სიკეთე, არც თვით მწვრთნელებისთვის, საბოლოო ჯამში. იმედი ვიქონიოთ, რომ ტორპედოელთა მაგალითი ბოლოს და ბოლოს დაარწმუნებს მათ ამგვარი ტაქტიკის მცდარობასა და მანკიერებაში.

ახალი ჩემპიონისა ერთი რამ მომწონს ყველაზე მეტად: გამუდმებული წყურვილი გამარჯვებისა, იმის მიუხედავად, თუ რომელ სტადიონზე თამაშობს გუნდი. არ მიკვირს, რომ „ტორპედო" ერთადერთი აღმოჩნდა ჩვენს გუნდებში, რომელმაც შინ და სტუმრად მატჩები თანაბრად მოიგო. ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია კიდევ ერთხელ არ გავიხსენო ის დიდი ზიანი, რაც ჩვენს ფეხბურთს ეგრეთ წოდებულმა „გასვლითმა მოდელმა" მიაყენა, მოდელმა, რომელიც კაცმა არ იცის, რისთვის გამოიგონა კიევის „დინამოს" ბრწყინვალე გუნდმა.

მე რომ მკითხო, ეს „გასვლითი მოდელი" პირველ ყოვლისა ასი ათასობით მაყურებლის აბუჩად აგდებაა. ეს არის არად ჩაგდება პატიოსანი სპორტული ბრძოლისა, თავისებური საფეხბურთო საქმოსნობა, ანგარიშმიუცემელი სწრაფვა ნებისმიერი გზით ქულის მოპოვებისკენ.

დარწმუნებული ვარ, ამ „მოდელსაც" უნდა ვუმადლოდეთ, თუ სტადიონებზე მაყურებელთა რიცხვი კატასტროფულად მცირდება, თუ ერთ დროს ულამაზესი, საზეიმო საფეხბურთო სანახაობისადმი ინტერესი თანდათან ქრება. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ მოდელმა უკვე მოასწრო ფეხის მოკიდება არა მარტო მწვრთნელთა, არამედ ბევრი ფეხბურთელის ფსიქოლოგიაშიც.

საშემოდგომო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის სახელი კიევის „დინამომ" მოიპოვა. სეზონის ფინიშზე კიეველებმა კვლავ დაიბრუნეს ეწინდებური სახე და მთელ რიგ მატჩებში, განსაკუთრებით კი საერთაშორისო შეხვედრებში, მაღალი კლასის ფეხბურთით ხიბლავდნენ მაყურებელს. თუმცა ეს, ჩემი აზრით, მოსალოდნელიც იყო. მე მწამს, რომ კიეველთა მარცხი საგაზაფხულო და საზაფხულო მატჩებში არ შეიძლება კლასის უეცარი, მკვეთრი დაცემით აიხსნას (ფეხბურთელთა ძლიერ გუნდებში ასეთი რამ არ ხდება). მიზეზი მხოლოდ ახალი სეზონისთვის მზადებაში დაშვებული სერიოზული შეცდომები შეიძლებოდა ყოფილიყო. სწორედ ამან გამოიწვია კონფლიქტი მწვრთნელებთან, გუნდში შექმნილი საერთო ნერვული ატმოსფერო. შემოდგომისთვის კიევის „დინამოში" მდგომარეობა ერთგვარად გამოსწორდა. თანდათან დაიბრუნეს სპორტული ფორმა გუნდის უძლიერესმა მოთამაშეებმა — კოლოტოვმა, რუდაკოვმა, ბლოხინმა, ონიშჩენკომ, ბურიაკმა. გარდა ამისა, ახლა მინდორზე ბევრად უფრო მტკიცედ გრძნობდნენ თავს ახალგაზრდები — ბესსონოვი, ბერეჟნოი, სლობოდიანი, რომლებმაც ლიდერთა გარეშე ძირითად შემადგენლობაში თამაშის კარგი გამოცდილება შეიძინეს.

ბრინჯაოს მედლები, ისევე როგორც საგაზაფხულო ჩემპიონატში, ახლაც სსრ კავშირის თასის მფლობელებმა — თბილისის დინამოელებმა მოიპოვეს. ჩემი აზრით, თბილისელთა ახალმა მწვრთნელებმა ნოდარ ახალკაცმა, ნიაზბეი ძიაპშიპამ, სლავა მეტრეველმა და სერგო კუტივაძემ შეძლეს ძალზე საინტერესო, თვითმყოფი გუნდი შექმნათ.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თბილისის „დინამოს" ყველა მწვრთნელი, ისევე როგორც მათი ტორპედოელი კოლეგები, თავის დროზე კლუბებში თამაშობდა, ყველას დამთავრებული აქვს „საფეხბურთო უნივერსიტეტი" ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელებთან. რაც მთავარია, ვიდრე გუნდებს ჩაუდგებოდნენ სათავეში, მათ შეძლეს დიდ ფეხბურთში მწვრთნელის ურთულესი საქმის საიდუმლოს დაუფლებოდნენ. მათ ბევრი საუკეთესო თვისება გადმოიღეს თავიანთი ყოფილი მასწავლებლების — მ. იაკუშინის, ვ. მასლოვის და გ.კაჩალინისგან, რომლებიც დიდხანს მუშაობდნენ ამ კოლექტივებთან. ვფიქრობ, ოქროს და ბრინჯაოს პრიზიორთა მაგალითი ბევრ რასმე გვასწავლის, როცა ფეხბურთელთა მწვრთნელების მომზადებასა და აღზრდას ეხება საქმე.

რამდენიმე სიტყვა ჩემპიონატში ხელმოცარულთა შესახებ. აქ პირველ ყოვლისა მოსკოვის „სპარტაკის" საოცრად სუსტი თამაში მინდა აღვნიშნო. სპარტაკელთა ერთ დროს სახელგანთქმული გუნდი ორმოცი წლის მანძილზე ახლა პირველად დატოვებს უმაღლეს ლიგას. ამაში დიდი როლი შეასრულა მწვრთნელთა შეცდომებმა, განსაკუთრებით მოთამაშეთა ფსიქოლოგიური მომზადების საკითხში. მაშ რით შეიძლება აიხსნას, რომ გუნდმა, რომელმაც მოსკოვში გამართულ თავისებურ პირველობაში ყველა მეტოქე დაჯაბნა, თანაქალაქელებთან ნათამაშევი ოთხი პრინციპული მატჩიდან სამი მოიგო, საგაზაფხულო ასპარეზობის ჩემპიონთან შეხვედრა კი ფრედ დაამთავრა, მოულოდნელად ყველაფერზე გული აიყარა და ჩემპიონატის დანარჩენ თერთმეტ მონაწილესთან ექვს ქულაზე მეტი ვერ მოაგროვა? ჩემი აზრით, მწვრთნელის ახალგაზრდობამ და გამოუცდელობამ, წაგების შიშმა (რაც ხშირად თვით წაგების მიზეზი ხდებოდა) დატოვა უკან „არარატიც", რომელიც შემოდგომის მატჩებში ბევრად უფერულად თამაშობდა.

მე, საზოგადოდ, იმ აზრისა ვარ, რომ საკუთარ კარში „ზედმეტი" გოლის გაშვების შიშმა ზოგიერთ ჩვენს მწვრთნელს დაავიწყა ფეხბურთის ძირითადი ტაქტიკური კონცეფციები, რომელთა საფუძველსაც იერიში წარმოადგენს. სასაცილოა, მაგრამ უმაღლესი ლიგის გუნდების ნახევარი როგორღაც ახერხებდა ერთ მატჩში საშუალოდ ერთზე ნაკლები გოლის გატანას.

საერთოდ, განვლილ სეზონზე ვერ იტყვი, გოლებით მდიდარი იყოო. ჩვენი ფეხბურთისთვის გოლი ძალზე იშვიათი ხილი გახდა. სამწუხაროდ, ამ მხრივ ვერც ჩვენი წლევანდელი ჩემპიონები დაიქადნიან. ევროპის მოწინავე კლუბებისა და ჩვენი გუნდების შედეგიანობა რომ შევადაროთ, სხვაობა მყისვე გვეცემა თვალში. ჩვენებს ორჯერ ნაკლები გოლი გააქვთ...

მიუხედავად ამისა, როცა განვლილ სეზონზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ერთი სასიხარულო ფაქტიც არ აღვნიშნოთ: ჩვენმა ჭაბუკთა და ახალგაზრდულმა გუნდებმა კონტინენტზე უძლიერესთა სახელი მოიპოვეს. ეს მოწმობს, რომ საბჭოთა ფეხბურთს რეზერვი არ აკლია.

და მაინც, განვლილ სეზონში ჩვენი ფეხბურთის რამდენიმე მნიშვნელოვანი მარცხი საერთაშორისო სარბიელზე, სადაც საბოლოოდ ვლინდება ყოველი გუნდის თამაშის კლასი, მაიძულებს კვლავ შემოვკრა განგაშის ზარს იმის გამო, რომ რთულ და ჯერ კიდევ თვითდინებაზე მიშვებულ საფეხბურთო მეურნეობაში ყველაფერი რიგზე ვერ არის.

ბოლო წლებში სპეციალისტებმაც, გულშემატკივრებმაც, პრესის მუშაკებმაც ბევრჯერ მოითხოვეს ჩვენს ფეხბურთში წესრიგის დამყარება: მტკიცე კალენდრის დადგენა, მწვრთნელთა ართურმის მოსპობა, ფეხბურთელთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება, მოთამაშეთა გადასვლა-გადმოსვლასთან დაკავშირებული საკითხების გონივრული და სამართლიანი გადაწყვეტა, რაც მთავარია, ყოველგვარი საქმოსნობის ძირფესვიანად აღმოფხვრა, მაგრამ შეცვლით არაფერი შეცვლილა. განა შეიძლება არ დაგვაფიქროს იმ ამბავმა, რომ საშემოდგომო ჩემპიონატის დასკვნით მატჩებში აუტსაიდერები თავისზე ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლაშიც კი საოცრად იოლად ღებულობდნენ ზუსტად იმდენ ქულას, რამდენიც უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად სჭირდებოდათ? სამწუხაროდ, შედეგების ასე წინასწარ განსაზღვრის შემთხვევები სხვა დროსაც შეგვხვედრია.

მე თუ მკითხავთ, უბედურება ის არის, რომ ფეხბურთის გაჯანსაღების მიზნით გადამჭრელი ზომების მიღების მაგიერ მისი მესვეურები ხშირად საეჭვო რეფორმებს მიმართავენ, რასაც ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. ხან რაღაც სასაცილო, სრულ ჭკუაზე მყოფი კაცისთვის ყოვლად გაუგებარი წესი შემოიღეს — ფრე აკრძალეს და გამარჯვების ბედი პენალტის შედეგს მიანდეს, ხან მთელი საკავშირო პირველობის ჩატარების ტრადიციული წესი ერთი გუნდის ინტერესებისთვის დაარღვიეს. დარწმუნებული ვარ, ასეთი ორგანიზაციული უწესრიგობა მხოლოდ იმის ნაყოფია, რომ ფეხბურთის საქმეთა ხელმძღვანელობა დღესდღეობით ნაკლებ კომპეტენტურ ხალხს აქვს მინდობილი.

ჩვენმა, საბჭოურმა ფეხბურთმა დიდი ხანია სახელი გაითქვა მსოფლიო სარბიელზე. მას ბევრჯერ მოუპოვებია ბრწყინვალე გამარჯვება. ეს საფუძველს გვაძლევს თამამად ვთქვათ, რომ ჩვენ შეგვიძლია ყველაზე მაღალი საფეხბურთო ტიტულებისთვის ვიბრძოლოთ.

„კომსომოლსკაია პრავდა"
№ 270 (15771).

თქვენი აზრი, სპეციალისტებო?

დონეცკელთა თაოსნობა

„სოვეტსკი სპორტის" 17 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილია გაზეთის დონეცკელი კორესპონდენტის ბ. ბრუსილოვის სტატია — **„ფეხბურთის არბიტრთა სკოლა"**. წერილში მოთხრობილია ერთი წლის წინათ სპორტსაზოგადოება „ავანგარდის" საოლქო საბჭოს მიერ „შახტიორის" ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე გახსნილი არბიტრთა სკოლის შესახებ, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიხვეჭა ფეხბურთის ახალგაზრდა მოყვარულთა შორის. სკოლაში ასზე მეტი ბავშვი გამოცდილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით ეუფლება თამაშის წესებს, სწავლობს, თუ როგორ უნდა ჩაატაროს მატჩი სპორტის ამ სახეობის არბიტრმა. სკოლაში მიღებულ თეორიულ ცოდნას ნორჩი მსმენელები აღრმავებენ პრაქტიკული მეცადინეობების დროს. სისტემატურად ეწყობა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მატჩების განხილვა. ინტერესს ისიც აღვივებს, რომ სწავლებას ხელმძღვანელობენ საკავშირო კატეგორიის მსაჯები ბ. ტრელეცკი, ა. ისტომინი, „შახტიორის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი მოთამაშე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. საფრონოვი.

დონეცკელთა ეს კარგი თაოსნობა დიდ ყურადღებას იმსახურებს. ამიტომაა, რომ სკოლის მისამართით ხშირად მოდის წერილები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან. მათი ავტორები სთხოვენ დონეცკის ფეხბურთის არბიტრთა სკოლის ხელმძღვანელებს დახმარება გაუწიონ მსგავსი დაწესებულებების გახსნაში.

გავიხსენოთ, ფეხბურთის მოყვარულთა რაოდენ ინტერესს იწვევს, როცა თბილისში უმაღლესი ლიგის გუნდების მატჩების დროს შესვენებისას მინდორს ნორჩი ფეხბურთელები შესევიან, მათს თამაშს თანატოლი მსაჯიც რომ ემსახურება. რამდენია ჩვენში ისეთი ნორჩი ფეხბურთის მოყვარული, რომელსაც გულით სურს მსაჯი გახდეს, იცის, რა, რომ ჩვენში პრინციპული, გამოცდილი მსაჯი ისევე დაფასებულია, როგორც კარგი ფეხბურთელი.

ხომ შეიძლება თბილისში, საქართველოს სხვა ქალაქებში გაიხსნას ფეხბურთის არბიტრთა სკოლები, როგორც ეს დონეცკშია? თუ ამ საჭირო საქმეს თავს მოვაბამთ, ასეთ სკოლებში ჩარიცხვის მსურველთა რიცხვი საკმაოზე დიდი იქნება და ახლო მომავალში ქალაქების ფეხბურთის ფედერაციებსაც აღარ დასჭირდებათ მცირე მასშტაბის საფეხბურთო შეჯიბრებებისთვის მსაჯების აქეთ-იქით ძებნა.

ვფიქრობთ, ამ საკითხზე თავიანთ ავტორიტეტულ სიტყვას იტყვიან ფეხბურთის სპეციალისტები.

სურათზე თქვენ ხედავთ ნორჩ ფეხბურთელთა ასპარეზობას თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე საკავშირო ჩემპიონატის მატჩის ტაიმებს შორის შესვენებისას. ი. იუნაევის ფოტო.

ემზადებიან ახალი ტურნირებისთვის

პარიზი, 18 ნოემბერი. სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა მონაკოში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის შესარჩევი შეჯიბრების გადამწყვეტი მატჩი წააგო იტალიის გუნდთან — 0:1. ახლა საბჭოთა ფეხბურთელები III ადგილისთვის შეხვდებიან იუგოსლავიის ნაკრებს. ფინალში ითამაშებენ იტალიისა და გფრ-ის გუნდები.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრებმა (მოთამაშეთა ასაკი — 18 წლამდე) წლეულს ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, მაგრამ მონაკოს ტურნირში იგი ახალი შემადგენლობით გამოდის. მაგალითად, ახლა გუნდში არ არიან ფეხბურთელები, რომლებიც უნგრეთში უეფა-ს ტურნირში გამარჯვების შემდეგ უმაღლესი ლიგის გუნდებში თამაშობენ. ესენი არიან: მოსკოველი ბონდარევი, კიეველი ბერეჟნოი, თბილისელი დარასელია... მწვრთნელები ახალ ფეხბურთელებს ახალი ტურნირებისთვის ამზადებენ.

მონაკოში მატჩები ექსპერიმენტული წესებით ტარდება. მაგალითად, ფეხბურთელები აუტს ხელით კი არ აწვდიან, არამედ თავისუფალს ურტყამენ იმ ადგილიდან, საიდანაც ბურთმა მინდვრის ფარგლები დატოვა. გარდა ამისა, კუთხურის დარტყმა შეიძლება მხოლოდ იმ წერტილიდან, საიდანაც დაცვაში მყოფი გუნდი ბურთს პირით ხაზს იქით უშვებს (ოღონდ, ეს უნდა მოხდეს საჯარიმო მოედნის გარეთ). სხვათა შორის, იტალიელმა ფეხბურთელებმა გოლი სსრ კავშირის ნაკრების კარში სწორედ „მინი-კუთხურის" ჩაწოდების შემდეგ გაიტანეს.

ტურნირის შემდეგ სპეციალისტებმა გამოთქვეს თავიანთი შეხედულება ამ ექსპერიმენტის შესახებ.

ორი წლით ადრე...

მომავალი, 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ზედმეტი მღელვარების — შესარჩევი მატჩების გარეშე ემზადებიან მხოლოდ მასპინძლები — არგენტინის ფეხბურთელები და ბოლო პირველობაში გამარჯვებული გფრ-ის სპორტსმენები. ყველა დანარჩენი გუნდი შესარჩევ ტურნირებში იბრძვის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურებისთვის.

გასულ ოთხშაბათს ცენტრალური მატჩი ჩატარდა ევროპის მეორე ჯგუფში — რომში იტალიელები ინგლისის ნაკრებს შეხვდნენ და მოუგეს მას — 2:0 (1:0). გოლები გაიტანეს ჯ. ანტონიონიმ და რ. ბეტეგამ. იტალიის გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც „იუვენტუსის" (დონეცკის „შახტიორის" მეტოქე უეფა-ს თასის გათამაშებაში) შვიდი ფეხბურთელი იყო, ლიდერია თავის ჯგუფში — ორ შეხვედრაში 4 ქულა აქვს. ამდენივე ქულა დაუგროვდათ ინგლისელებს, ოღონდ მათ ერთი მატჩით მეტი ითამაშეს.

პირველ ჯგუფში ლიდერობს დანიის ნაკრები (4 ქულა სამი მატჩის შემდეგ), თუმცა ლისაბონში პორტუგალიის ფეხბურთელებთან მან წააგო — 0:1 (0:0). გოლი გაიტანა გ. ფერნანდესმა. თამაში მკაცრი და უხეში იყო. მინდვრიდან გააძევეს პორტუგალიელი კოლსო. მასპინძელთა გუნდის ორი მოთამაშე და ოთხი სტუმარი ყვითელი ბარათით დაისაჯა.

საფრანგეთის ნაკრებმა (მეხუთე ჯგუფი) პარიზში დაამარცხა ირლანდიის გუნდი — 2:0 (0:0). ბურთები გაიტანეს მ. პლატინიმ და დ. ბატენმა.

შოტლანდიელებმა გლაზგოში (მეშვიდე ჯგუფი) მოუგეს უელსის ნაკრებს. მატჩის ერთადერთი გოლი პირველ ტაიმში საკუთარ კარში გაიტანა სტუმრების მცველმა ი. ევანსმა.

ყველაზე მოულოდნელი შედეგით დამთავრდა მატჩი დრეზდენში, სადაც ოლიმპიური ჩემპიონები — გდრ-ის ნაკრების ფეხბურთელები (მესამე ჯგუფი) თურქეთის გუნდს შეხვდნენ — 1:1 (1:1). ორივე გოლი პენალტით გავიდა. პირველი ბურთი გაიტანა კოტემ (გდრ), მეორე — ჯემილმა (თურქეთი). მართალია, თურქი თავდამსხმელის პირველი დარტყმა მოიგერია გდრ-ის ნაკრების მეკარემ ი. კროიმ, რომელმაც „მაღალ დონეზე" ჩაატარა თავისი 75-ე მატჩი (გდრ-ის ფეხბურთში იგი ამ მხრივ პირველ ადგილზეა), მაგრამ მეორე იერიში მაინც გოლით დაგვირგვინდა.

თურქეთის ნაკრები ამ მატჩის შემდეგ სათავეში უდგას სატურნირო ცხრილს თავის ჯგუფში — 3 ქულა 4 შესაძლებლიდან, გდრ-ის გუნდს ერთი მატჩიდან 1 ქულა აქვს.

IV მემორიალი
ვახტანგ კარსელაძე
თბილისი-76

სიჭაბუკე და გამოცდილება

IX ტური. ა. ბოკუჩავა — თ. გიორგაძე 0:1, რ. ხოლმოვი (მოსკოვი) — ა. ლუტიკოვი (ტირასპოლი) 0,5:0,5, გ. ზაიჩიკი — დ. ჯანოევი 0,5:0,5, ზ. მიქაძე — ი. ანიკაევი (ნოვოკუზნეცკი) 0,5:0,5. დ. გედევანიშვილ — ა. მიხალჩიშინის (ლვოვი), ბ. გურგენიძე — ზ. სტურუას, ი. ჩიქოვან — კ. ლერნერისა (ოდესა) და ე. უბილავა — გ. კუზმინის (ვოროშილოვგრადი) პარტიები გადაიდო.

X ტური. მიხალჩიშინი — ანიკაევი 0,5:0,5, ლუტიკოვი — ჩიქოვანი 0,5:0,5, გიორგაძე — გურგენიძე 0,5:0,5, გედევანიშვილი—ბოკუჩავა 0,5:0,5. ჯანოევ — მიქაძის, კუზმინ—ზაიჩიკის, ლერნერ—უბილავას და სტურუა — ხოლმოვის პარტიები გადაიდო.

10 ტურის შემდეგ ბ. გურგენიძეს, თ. გიორგაძეს, ი. ანიკაევს 5,5-5,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ, ა. ლუტიკოვს — 5,5, კ. ლერნერს, ი ჩიქოვანს — 4,5,-4,5 (2-2), რ. ხოლმოვს, ა. მიხალჩიშინს — 4,5-4,5 (1-1), ე. უბილავას — 4(3), გ. კუზმინს, გ. ზაიჩიკს — 4-4(2-2).

ფინიშზე ზოგი ლიდერი თავს არიდებს გართულებებს, მით უმეტეს, თუ მეტოქედ ლიდერობის მაძიებელი ჰყავს. ამიტომ იმრავლა „დიდოსტატურმა ყაიმებმა“. მაგალითად, ხოლმოვი და ლუტიკოვი მე-13 სვლაზე დაზავდნენ, ლუტიკოვი და ჩიქოვანი კი — მეთერთმეტეზე.

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ ლიდერთა უმეტესობა თავდადებულად თამაშობს. უბილავამ მწვავე ბრძოლა გაუმართა დიდოსტატ კუზმინს. პოზიციური უპირატესობა რომ მოიპოვა, მან ფიგურის შეწირვით სცადა მეტოქის მეფის თავშესაფრის განადგურება, მაგრამ კუზმინმა შეძლო მუქარის უვნებელყოფა.

— ვიჩქარე კომბინაციის განხორციელება. თანმიმდევრულად რომ მეთამაშა, უთუოდ მოვიგებდი, — გვითხრა უბილავამ.

მერე იგი ლერნერთანაც დიდი შეუპოვრობით თამაშობდა. გადადებულ პარტიაში უბილავას ზედმეტი პაიკი აქვს, მაგრამ ეტლების ენდშპილში მისი გამოყენებისთვის მაღალი ტექნიკური ოსტატობის გამოვლინება დასჭირდება.

მიმზიდველი ბრძოლა გააჩაღეს ლიდერებმა გიორგაძემ და გურგენიძემ. მეტოქეებმა თანამედროვე პრაქტიკაში თითქმის დავიწყებული ორი მხედრის დაცვა გაითამაშეს. ერთ მომენტში დიდოსტატმა უზუსტოდ ითამაშა და ფიგურის დათმობა მოუხდა, თუმცა სამაგიეროდ სამი პაიკი აიყვანა. ეს სავსებით საკმარისი ანაზღაურებაა. მაგრამ გიორგაძემ მეოთხე პაიკი შესწირა, რათა მნიშვნელოვან უჯრებს დაუფლებოდა. მიზანს რომ მიაღწია, მან, როგორც ჩანს, იჩქარა პაიკის უკან დაბრუნება. ამით გურგენიძემ მყისვე ისარგებლა და ეტლის გონებამახვილური სვლით აიძულა მეტოქე ყაიმს დასჯერებოდა.

გიორგაძე — გურგენიძე

ორი მხედრის დაცვა

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. d4 ed 4. კc4 მf6 5. e5 d5 6. კb5 მe4 7. მ:d4 კd7 8. კ:c6 bc 9.0-0 კc5 10. კe3 კb6 11. f3 მc5 12. c4 ლe7 13. b4 მa6 14. c5 მ:b4 15. a3 ლ:c5 16. ab ლ:b4 17. ლd2 ლe7 18. მb3 0-0 19. ლc3 f6 20. e6 ლ:e6 21. მc5 ლd6 22. მd2 ეfe8 23. მ2b3 ეe7 24. კf2 ეae8 25. ეac1 კc8 26. მd4 f5 27. მd3 კd7 28. მ:c6 ეe3 29. მcb4 a5 30. მc2 d4 31. ლc4+ კe6 32. ლb5 კd7 33. ლc4+ კe6 34. ლb5 კd7. ყაიმი.

17 წლის სტურუა მზარდი მოჭადრაკეა. მას, ცხადია, გამოცდილება ჯერ კიდევ აკლია, მაგრამ მონდომებასა და გამბედაობაში არავის ჩამოუვარდება. დიდოსტატი ხოლმოვი აშკარად გადაურჩა წაგებას მასთან შეხვედრაში.



ამ პოზიციაში სტურუამ (თეთრები) დიდოსტატს თამამად შესწირა კუ, მაგრამ მერე იერიში სწორად ვერ წარმართა და ხოლმოვმა თავი დააღწია მუქარას. მართლაც საინტერესოა: რომელ მომენტში გადაუხვია ჭაბუკმა მოჭადრაკემ გამარჯვებისკენ მიმავალ ბილიკს? პარტია კი ასე გაგრძელდა:

სტურუა — ხოლმოვი

26. კ:g6 fg 27. ლ:e6+ ეf7 28. ლ:g6+ ეg7 29. ლe6+ მფh7 30. e4 ლe7 31. ლf5+ მფg8 32. ლ:h5 ლe8 33. ლh6 მd7 34. f4 მ:e5 35. de c5 36. ეe1 ეc6 37. ლh4 ეcg6 38 ეc2 ეg4 39. ლh3 ე:f4 40. ლb3+ მფh8 41. ლh3+ ეh7 42. ლc3. პარტია გადაიდო.

ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა.

თ. გიორგაძე,
მემორიალის მთავარი მსაჯი,
საერთაშორისო არბიტრი.

ტექნიკასთან თანამეგობრობაში

ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტის შეკითხვაზე, გამოყენებული იქნება თუ არა წინა ოლიმპიადების, კერძოდ, მიუნხენის XX ოლიმპიადის ორგანიზაციის გამოცდილება მოსკოვის ოლიმპიადის დროს, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა უპასუხა: — აუცილებლად, ჩვენ დიდი ყურადღებით ვსწავლობთ მიუნხენის ოლიმპიადის მომზადებისა და ჩატარების გამოცდილებას. ცხადია, ეს პირველ რიგში შეეხება ასპარეზობის ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას.

მიუნხენის თამაშებისთვის კავშირგაბმულობის საშუალებები, სადემონსტრაციო დაფები, საზომი ხელსაწყოები და მათი ავტომატური მექანიზმები, საინფორმაციო ცენტრი და საერთოდ მთელი ტექნიკური აღჭურვილობა დაამზადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთმა უდიდესმა ფირმამ „სიმენსმა“, რომელ საც დღეს საკუთარი წარმომადგენლობა აქვს გახსნილი მოსკოვში.

საინტერესოა, რომ ამ ფირმის დამაარსებელი, ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ფილოსოფიის დოქტორი ვერნერ სიმენსი გასული საუკუნის 60-იან წლებში სამჯერ ჩამოვიდა საქართველოში და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული გამოჩენილ ქართველ პოეტთან, კავკასიის ჯარების მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებელთან გრ. ორბელიანთან. ფირმა „სიმენსმა“ საქართველოზე გავლით სატელეგრაფო ხაზით ერთმანეთთან დააკავშირა ევროპა და ინდოეთი.

1972 წელს, მიუნხენში ყოფნის დროს საბჭოთა სპეციალისტების დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა, ინჟინერმა ბ. ლომიძემ ფირმა „სიმენსის“ წარმომადგენლებს გააცნო საქართველოში ვ. სიმენსისა და მისი ფირმის მოღვაწეობის ისტორია, რამაც ძლიერ დააინტერესა „სიმენსის“ ახლანდელი ხელმძღვანელობა. „და მაშინვე მათ გამოთქვეს სურვილი ჩვენთვის ეჩვენებინათ ოლიმპიური კომპლექსი მიუნხენში“, — იხსენებს ბ. ლომიძე.

დიახ, „სიმენსის“ ფირმას მიაჩნდა, რომ ოლიმპიური კომპლექსი აღჭურვილი იყო საკმაოდ კარგი კონსტრუქციის აპარატურითა და მოწყობილობებით. და ეს მართლაც ასე იყო, მწვრთნელები, სპორტსმენები, ჟურნალისტები, მსაჯები და მაყურებლები ყოველთვის გრძნობდნენ სპორტისა და ტექნიკის „თანამეგობრობას“ მიუნხენის XX ოლიმპიადაზე. (ფოტოები).

„შაბათის სპორტლოტოს“ შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი ტირაჟებისა, რომლებიც 13 ნოემბერს მოსკოვში მოეწყო.

პირველი ტირაჟი: ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (11 ბარათი), ოთხისთვის — 159 (1 400). სამისთვის — 6 (44574).

მეორე ტირაჟი: ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (9 ბარათი), ოთხისთვის—105 (2622), სამისთვის — 4 (56399).

მოგებული თანხა გაიცემა 23 ნოემბრიდან 23 დეკემბრის ჩათვლით.

(საკდესი).

ფეხბურთის მინდორი... სასახლეში

ლენინგრადი, 17 ნოემბერი. შესანიშნავი სპორტული ნაგებობა მიიღეს საჩუქრად ლენინგრადელებმა: ბუტლეროვის ქუჩაზე აიგო ფართო და მაღალი სასახლე, რომელშიც ფეხბურთის მოედანიც არის მოთავსებული ზომით 100×64 მეტრი. „მინდვრად“ გამოყენებულია მწვანე ნოხი, რომელიც სინთეტური მასალისგანაა დამზადებული. დღეს აქ გაიმართა ამხანაგური შეხვედრა „ზენიტსა“ და ქვეყნის კლუბების ნაკრებს შორის. 29-ე წუთზე პირველი ბურთი გაიტანა ნაკრების წევრმა ტარხანოვმა, 46-ე წუთზე ჩესნოკოვმა ანგარიში ორამდე გაზარდა, ხოლო 52-ე წუთზე მარკინმა საჯარიმოთი ერთი გოლი გაქვითა. შემდეგ „ზენიტის“ კარში ბურთები გაიტანეს კაზაჩონოკმა (70-ე წუთი), კრუგლოვმა (79-ე) და ტარხანოვმა (81-ე).

ამრიგად, შეხვედრა სსრ კავშირის კლუბების ნაკრებმა მოიგო — 5:1. გამარჯვებული გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გონტარი, კრუგლოვი, შვეცოვი, პაროვი, ოლშანსკი, სუჩილინი, დოლმატოვი, ტარხანოვი, სლობოდიანი, მ. მაჩაიძე, ჩესნოკოვი. მეორე ტაიმში გონტარის, შვეცოვის, პაროვის, დოლმატოვისა და სლობოდიანის ნაცვლად ითამაშეს რადაევმა, ჩორბამ, ხინჩაგაშვილმა, ბერეჟნოიმ და კაზაჩონოკმა.

ასტაპოვსკი—საუკეთესო მეკარე

ცსკა-ს ფეხბურთელთა გუნდისა და სსრ კავშირის ნაკრების მეკარე ვლადიმერ ასტაპოვსკი ჟურნალმა „ოგონიოკმა“ ამ სეზონში ქვეყნის საუკეთესო მეკარედ დაასახელა. „საუკეთესო მეკარის“ პრიზი 16 წელია არსებობს. ამ ხნის მანძილზე მას ფლობდა 9 მეკარე: ლ. იაშინი, ვ. მასლაჩენკო, ს. კოტრიკაძე, ვ. ბანიკოვი, ა. კავაზაშვილი, ი. პშენიჩნიკოვი, ე. რუდაკოვი, ვ. პილგუი და ა. პროხოროვი.

პირველად მიიღო ეს ჯილდო 30 წლის ასტაპოვსკიმ. იგი წლეულს წარმატებით იცავდა თავის კლუბის კარს და მონრეალის ოლიმპიური თამაშების დროს საბჭოთა ქვეყნის ნაკრებში გამოდიოდა.

მასპინძლობს ოდესა

ამ ზღვისპირა ქალაქში ორიოდე დღის წინათ სტარტი აიღო ასუჯრიან შაშში სსრ კავშირის ვაჟთა XXII ჩემპიონატის ფინალმა. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ი. კუპერმანი (კიევი) და ვ. შჩოგოლევი (მოსკოვი), დიდოსტატები ა. განტვარგი (მინსკი), ვ. აგაფონოვი (მოსკოვი), მ. კორხოვი (ოდესა), საერთაშორისო ოსტატები ს. დავიდოვი (ტაშკენტი), მ. შაველი (მინსკი), ა. მოგილიანსკი (რიგა), აგრეთვე, 10 სპორტის ოსტატი.

4 ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერია ვ. შჩოგოლევი — 2,5 ქულა.

[illegible]

ეძებენ სპარინგ-პარტნიორებს...

ბერლინი. როგორც ცნობილია, ამ რამდენიმე ხნის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების მოკრივეთა ნაკრებმა ევროპაში იმოგზაურა. გდრ-ის გაზეთ „დოიჩე შპორტეხოს“ კორესპონდენტმა რამდენიმე შეკითხვით მიმართა აშშ-ს გუნდის მწვრთნელს ჯო კლაფს. გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

● ოლიმპიადა დამთავრდა. მიუხედავად ამისა, თქვენი ახალჩამოყალიბებული გუნდი ევროპაში მოგზაურობს. ეს როგორღაც არ შეესაბამება იმ წესებს, რომელთაც ბოლო წლებში იცავდით.

— მართალია, მაგრამ 1973 წლიდან ჩვენს კრივში ერთგვარი ევოლუცია იგრძნობა. ჩვენ ვეძებთ ძლიერ სპარინგ-პარტნიორებს და შეძლებისდაგვარად ვღებულობთ ევროპის მოწინავე ქვეყნების წინადადებებს.

● თქვენ ამჯობინებთ მატჩები ისე ჩაატაროთ, რომ ევროპის ტრადიციულ ტურნირებში მონაწილეობა არ მიიღოთ. არსებობს თუ არა ამისთვის წვრთნის სისტემით განპირობებული მიზეზები?

— არა. თუკი მიგვიწვევენ, მომავალში უარს არ ვიტყვით ამ ტურნირებზე, ვინაიდან ამგვარ შეჯიბრებებში მონაწილეობა ხელს უწყობს სპორტსმენთა მზადებას მსოფლიო ჩემპიონატებისა და ოლიმპიადებისთვის.

● თქვენ უკვე იყავით პოლონეთში. მოწავალში საით აპირებთ გამგზავრებას?

— შინ დაბრუნების შემდეგ სტუმრად ველით საბჭოთა კავშირის ნაკრებს. შეჯიბრება თავისებური იქნება: ათი საბჭოთა მოკრივე შეხვდება ჩვენს ათლეტებს. მომავალი წლის დასაწყისში დაგეგმილი გვაქვს მატჩი ინგლისელებთან.

● გუნდი, რომელიც პოლონეთში გამოიყვანეთ, მართლაც ძალზე ახალგაზრდულია. ალბათ ეს მომავლის გუნდია...

— იმედი მაქვს, ამ ჭაბუკებიდან ზოგიერთი სპორტული ფორმის მწვერვალს მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადისთვის მიაღწევს.

● რას გვეტყვით ოლიმპიელებზე, რომლებიც მონრეალის რინგზე ამერიკის შეერთებული შტატების ღირსებას იცავდნენ?

— ლეო რენდოლფის, მაიკლ სპინკსისა და ჯონ ტეიტის გარდა, ყველა პროფესიონალებში გადავიდა.

● პირადად თქვენ რა აზრისა ხართ მათს გადაწყვეტილებაზე?

— მე, რაც შემეძლო, ყველაფერი ვიღონე, რომ ეს ნაბიჯი არ გადაედგათ. მაგრამ რას იზამ, რაკი მხოლოდ ამ გზით შეიძლება ფულის შოვნა და ცხოვრების გაუმჯობესება, მწვრთნელის სიტყვები ბევრს არაფერს ნიშნავს. შემდეგ ბიჭები თვითონვე ხვდებიან თავიანთს შეცდომას, მაგრამ რაღა დროს.

● მონრეალში დიდი კამათი იყო შეერთებული შტატების ზოგიერთი მოკრივის პროფესიული მანერის გამო. ისინი პროფესიონალებთან ერთად ვარჯიშობენ?

— ნაკრებში — არა, კლუბებში — ადვილი შესაძლებელია, თუმცა ჩვენ ამისი წინააღმდეგი ვართ. ისე კი, ოლიმპიადისთვის მზადების რამდენიმე კვირა ძალიან ცოტაა სტილის ჩამოსაყალიბებლად.

● თქვენ თქვით, რომ 1973 წლიდან შეერთებულ შტატებში კრივის ევოლუცია იგრძნობა. რას ნიშნავს ეს.

— ამ დროიდან ჩვენ მეტ ყურადღებას ვუთმობთ ახალგაზრდობას. დღეს უკვე რვა წლის ბიჭები იწყებენ მიზანდასახულ მზადებას, თორმეტი წლისანი კი ერთმანეთს შორის ჩემპიონობისთვის იბრძვიან, ეს სისტემა, რომელიც სოციალისტური ქვეყნებისგან გადავიღეთ, მომავლისთვის დიდ იმედებს გვისახავს.

უფერულად ითამაშეს

კალათბურთელ ვაჟთა 44-ე საკავშირო ჩემპიონატში ვილნიუსში ადგილობრივი „სტატიბა“ შეხვდა ტალინის „კალევს“. ესტონელებმა ლენინგრადის „სპარტაკთან“ მოგების შემდეგ ძალზე უფერულად ჩაატარეს ეს მატჩი და წააგეს — 77:85 (42:52). ყველაზე შედეგიანები იყვნენ: კაზლაუსკასი („სტატიბა“) — 20 ქულა, ტამისტე („კალევი“) — 15 ქულა.



უცხოეთის ფეხბურთის ამბები

მური მინდვრიდან გააძევეს

„ფულჰემის“ ახალი ფეხბურთელი ბესტი რომ ამას წინათ მინდვრიდან გააძევეს, ეს არავის გაჰკვირვებია, მაგრამ მას ბ. მურიც მიჰყვა, რომელიც იმავე „ფულჰემში“ თამაშობს. ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს ფეხბურთის სამყაროში მანამდე ჩინებული რეპუტაცია ჰქონდა.

როგორც ჟურნალისტები იუწყებიან, ეს შემთხვევა მეორე ყოფილა გამოჩენილი ფეხბურთელის ხანგრძლივი კარიერის მანძილზე. პირველად მური მინდვრიდან გააძევეს 1962 წელს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის ჩვ სამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-59.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 14974